გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №3ბ/823-11 23 მაისი, 2011 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ

მოსამართლე – მერაბ ლომიძე

აპელანტი – მერაბ აბრამიშვილი;
მოწინააღმდეგე მხარე – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო;
მესამე პირები (ასკ-ის 16.2 მუხლი) – 1. ვლადიმერ მანჯავიძე; 2. ნანა ბალაშკევიჩი; 3. ნანა კალანდარიშვილი-გუნჯუა; 4. თორნიკე გაბარაშვილი; 5. ვაჟა ბუჩუკური; 6. მზია ფანჩულიძე; 7. სვეტლანა ჯიქია; 8. ლინა კოფენლუ; 9. თამარ გოგუაძე; 10. ხვთისო დარძულიძე;
მესამე პირი (ასკ-ის 16.1 მუხლი) – სსიპ შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი;
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება;
დავის საგანი – განკარგულებებისა და იძულებითი აუქციონის ჩატარების შესახებ ოქმების ბათილად ცნობა;
ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი და

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მერაბ აბრამიშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებული იქნა მოსარჩელე მერაბ აბრამიშვილის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 06 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივრზე დადგენილი იქნა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობისა და სააპელაციო საჩივრის ასლების წარმოუდგენლობის გამო.

2011 წლის 16 მაისს აპელანტის წარმომადგენელმა ნ. გოდერიძემ განცხადებით მომართა სააპელაციო სასამართლოს და წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და სააპელაციო საჩივრის ასლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 17 მაისის განჩინებით მ. აბრამიშვილის სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და

დაინიშნა ზეპირი განხილვა 2011 წლის 02 ივნისს 10:00 საათზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს №1 სხდომის დარბაზში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მესამე პირებს თორნიკე გაბარაშვილს, ნანა ბალაშკევიჩს და ნანა კალანდარიშვილი-გუნჯუას გაეგზავნათ სააპელაციო სასამართლოს შეტყობინება მაგრამ ვერ ჩაბარდებათ, ვინაიდან მითითებულ მისამართზე ადრესატები ვერ იქნა მოძიებული.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლის გათვალისწინებულ სუბიექტს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მესამე პირებს – თორნიკე გაბარაშვილს, ნანა ბალაშკევიჩს და ნანა კალანდარიშვილი-გუნჯუას თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეტყობინება უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით, კერძოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge) და სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებით, ვინაიდან სასამართლო შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 78-ე, მე-200 და 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/823-11, მესამე პირებს – თორნიკე გაბარაშვილს, ნანა ბალაშკევიჩს და ნანა კალანდარიშვილი-გუნჯუას სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით ეცნობოს, რომ მერაბ აბრამიშვილის სააპელაციო სახივრის ზეპირი განხილვა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებაზე, დანიშნულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში **2011 წლის 02 ივნისს, 10:00 საათზე, სხდომის დარბაზი №1** (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა);
2. სხდომაზე დასაბარებელი პირი გაფრთხილებულ იქნას, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო მათ დაუსწრებლად გამოიტანს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მასალების და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით;.

სასამართლო განჩინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge) და სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე.

3. სასამართლო შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე და სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან მე-7 დღეს.

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლე მერაბ ლომიძე